# წითელმთიელები კარიერების არასწორ ექსპლუატაციას აპროტესტებენ



**ალიონი.** რამდენიმე დღეა შემოქმედის თემის სოფელ წითელმთის მოსახლეობა მდინარე ბჟუჟის აუზში კარიერების არასწორ ექსპლოატაციას აპროტესტებს და პერნამენტულ აქციებს მართავს. მათი თქმით, 2 თვის წინ დასრულებული წითელმთა-მაკვანეთის დამაკავშირებული გზა და ხიდი მდინარე ბჟუჟზე მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობისაგან ზიანდება, საშიშროება ექმნებათ მდინარისპირა მაცხოვრებლების საკარმიდამო ნაკვეთებს, ჭებში გაშრა წყლები და ა.შ.

მოსახლეობამ გასულ ხუთშაბათსაც გადაკეტა წითელმთა-მაკვანეთის დამაკავშირებელი გზა.

გაზეთი „ალიონი“ აქციის მონაწილეებს ესაუბრა:

**ირმა დუმბაძე:** –30 წელია ვიხვეწებოდით, რომ აღმდგარიყო წითელმთა-მაკვანეთის დამაკავშირებელი გზა. ამ სოფლის ღირსეული შვილების ჯემალ ჭკუასელის და თამაზ შილაკაძის საშუ-ალებით ჩვენი ხმა მივიდა მთავრობამდე და სახელმწიფომ 1 მილიონ 200 ათას ლარზე მეტი გამოყო ამ გზის აღსადგენაც. მეტი თანხა დაჯდებოდა, მაგრამ თამაზ შილაკაძემ გზის პროექტირება უფასოდ გააკეთა. შარშან შემოდგომიდან მოყოლებული მუშაობდა ამ გზის რეაბილიტაციაზე შპს „გზამშენი 18“, კარგად გააკეთა. 2 თვეა, რაც ეს გზა გაკეთდა, მაგრამ მდინარე ბჟუჟის ხეობაში არაერთი კარიერიაა გახსნილი. მძიმეწონიანი მანქანები გზას აფუჭებენ.

**როლანდ მიმინოშვილი:** –ჯახვას ორგანიზაციამ მდინარე ბჟუჟზე მდებარე ხიდი აღადგინა. ა, ბატონო, ნახეთ რა დღეშია ვიბრაციისაგან ახლადგარემონტებული კაპიტალური ხიდი: იბზარება, მოაჯირი ერთ ადგილას უკვე ჩავარდა მდინარეში. ხიდის ქვემოთ მცხოვრები თოდრაძეების ეზოს შეხედეთ, როგორ უთხრის მას მდინარე ბჟუჟი ძირს...

**ირინა გეგიაძე:** კარიერები ყველგანაა გახსნილი. ჭებში წყალი დაშრა, სარეცხ მანქანებს ვერ ვამუშავებთ. აქ მომუშავე ქვა-ღორღის მომპოვებლებმა გვითხრეს: ეს წყლები არაა გათვლილი სარეცხი მანქანების მუშაობაზე, ხელითაც კი გარეცხავთო.

–შვილი დამეღუპა. სასროლეთის ზემოთ, ფერდობზეა სასაფლაო. ჩემი მეუღლე საფლავს აკეთებდა. ერთი „ტაჩანკა“ „ხრეში“ ამოიღო მდინარეში, სასაფლაოზე მიჰქონდა –500 ლარით დააჯარიმეს გარემოს დაცვის თანამშრომლებმა...ახლა იმ სასაფლაოს მითხრიან. აბა, რა იქნება, სასაფლაოდან 200 მეტრში ახალი კარიერი გახსნეს – გვითხრა შაოსანმა ქალბატონმა.

**მარინა გეგიაძე:** – ვიცი, ავტობანი შენდება და ქვა-ღორღია საჭირო, მაგრამ ასე „უპრაგონოდ“ როგორ გასცემს წიაღისეულის ეროვნული სააგენტო ამ ლიცენზიებს. ლიხაურელებიდან გავიგეთ, რომ ამაზე თანხმობას ადგილობრივი თვითმმართველობა აძლევს, მაგრამ ხალხს არაფერი არ უნდა ჰკითხონ? ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი კომუნიკაცია არ უნდა ჰქონდეს ხალხთან? . .არ გავჩერდებით. აქციებს გავაგრძელებთ...

წითელმთის ხიდის ქვემოთ, მდინარე ბჟუჟის აუზში აქვს გახსნილი კარიერი შპს „გიო-2018“. როგორც ქვეკონტრაქტორებმა გვითხრეს, მისი მეპატრონე ქობულეთელი ლევან სვანაძეა...

წითელმთის მოსახლეობას შეხვდნენ გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** მისი მოადგილე **არჩილ ყაზაიშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშე-ნიძე.** გუბერნატორმა ადგილზე მოინახულა კარიერები და პრობლემაში გასარკვევად ორშაბათამდე მათი მუშაობა შეაჩერა.

— შევხვდი მოსახლეობას, მოვისმინე მათი პრობლემები. განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფელში არსებული კარიერების საკითხი. მათი შეფასებით კარიერების დამუშავება იწვევს გარემოს დაბინძურებას, ასევე, უწყობს ხელს მეწყერ საშიშ და ეროზიული პროცესების განვითარებას. სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება აღნიშნულ პროცესში ჩაერთონ დარგის სპეციალისტები, რის შედეგადაც უახლოეს დღეებში გატარებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები– განაცხადა გურიის გუბერნატორმა. **ზურაბ ნასარაიამ.**


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 32 (10277) 27 აგვისტო 2018 წ. ფასი 60 თეთრი.


# გურიის ახალი გუბერნატორი ალიტუსის მერს შეხვდა



**გურიის ახალი გუბერნატორი, რომელიც რამდენიმე დღეა მუშაობას შეუდგა, ლიეტუვას, ქ. ალიტუსის მერს ალგირდას ვრუბლიაუსკასკს შეხვდა.**

**ალიონი.** პროექტის „აქტიური ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები - ძლიერი რეგიონისთვის, ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისათვის" ფარგლებში, ალიტუსის რაიონის (ლიეტუვას რესპუბლიკა) **მერი ალგირდას ვრუბლიაუსკასკი,** დელეგაციის წევრებთან ერთად სამუშაო ვიზიტით ოზურგეთში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში ოფიციალური შეხვედრა გაიმართა გურიის გუბერნატორთან **ზურაბ ნასარაიასთან,** სადაც მხარეებმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული პროექტები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

*„ლიტვასა და საქართველოს მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობა გააჩნია, იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერია ევროინტეგრაციის პროცესში და ამ ფონზე მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობა მუნიციპალურ დონეზეც არსებობს და ის შედეგიანად გრძელდება. აუცილებელია ვიმუშაოთ ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების მიმართულებით, რაც რეგიონში ლიეტუვური ინვესტიციებისა და ახალგაზრდული სასწავლო გაცვლითი პროგრამების განხორციელებით გამოიხატება. ამ მიმართულებების გაძლიერებაზე ორივე მხარე აქტიურ მუშაობს დაიწყებს“* - განაცხადა **ზურაბ ნასარაიამ.**

# ოზურგეთელები საარჩევნო კოდექსზე მომუშავე „თბილისის ჯგუფის“ საქმიანობით დაინტერესდნენ

## „ხალხის რჩეული“ უნდა ნიშნავდეს, რომ ის ხალხის მიერ დაქირავებული მსახურია და არა პირიქით

თემურ მარშანიშვილი

22 აგვისტოს ოზურგეთელები საარჩევნო კოდექსზე მომუშავე „თბილისის ჯგუფის“ წარმომადგენლებს **გუჯა შვანგირაძესა** (ლიტერატურული ფსევდონიმი **„გუჯა ბიძია“**) და **იოსებ შათირიშვილს** შეხვდნენ. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ ამ შეხვედრას „ოზურგეთის ჯგუფის“ ხელმძღვანელი **მურად ჩხაიძე** უძღვებოდა.



„თბილისის ჯგუფის“ ხელმძღვანელმა **გუჯა შვანგირაძემ** გურულებისთვის დამახასიათებელ საკმაოდ აქტიურ დამსწრე საზოგადოებას თავისი ორგანიზაციის მიზნები და ხედვები გააცნო, ვრცლად ისაუბრა იმის შესახებ, როგორ უნდა შეიცვალოს არსებული სახელმწიფო სისტემა:

**გუჯა შვანგირაძე:** *„დაწყებული ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობიდან დღემდე გავიძახით, რომ სისტემა უნდა დაინგრეს. ეს არის ავტოკრატიული, ერთ მუჭა ხალხსა და ერთ პიროვნებაზე მორგებული სისტემა და ახლა კი არა, 100 წელია საქართველოში არსებობს, გასაბჭოებიდან ჩამოყალიბდა. ჩვენი საზოგადოებისთვის ერთგვარი თავსატეხია, რა და როგორ გავაკეთოთ. ვფიქრობთ და თითქოს ვმოქმედებთ კიდეც, მაგრამ 25 წელიწადია შედეგს ვერ ვხედავთ. გვგონია, რომ ვცვლით ხელისუფლებას, სინამდვილეში კი სისტემა, რომელზეც მორგებულია ეს ყველაფერი, უცვლელი რჩება. სახელმწიფო მმართველობითი რგოლი, ანუ ხელისუფლება არასდროს შეცვლის ამ სისტემას, იმიტომ, რომ არ აწყობს შეცვლა...*

*როცა ვამბობთ, სისტემა უნდა შეიცვალოს, ვგულისხმობთ არა მხოლოდ ფორმის, არამედ მისი შინაარსის, მექანიზმების შეცვლას. გასაბჭოების პერიოდში შექმნილი და სტალინის ეპოქაში გაძლიერებული ეს ფორმები საერთოდ გაძლიერდა, შინაარსი არ შეცვლილა, მაშინ რომ ერთი პარტია იყო და ახლა ორასია, ეს სისტემის შეცვლას არ ნიშნავს. თვითონ შინაარსი არის შესაცვლელი და რაში მდგომარეობს ეს შინაარსი: თუ ავტოკრატიულად ვცვლით ამ სისტემას, ეს ნიშნავს,*


▶▶▶ გვ-3

# გაზეთი „ალიონი" სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში"
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაინყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# მერაბ ჭანუყვაძე თბილისში სახელმწიფო უწყებაში გააგრძელებს საქმიანობას



**ალიონი.** 19 აგვისტოს, ფერისცვალებას მერაბ ჭანუყვაძემ თანამდებოდა დატოვა. მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული მიმართულების ხელმძღვანელის სოზარ სუბარის განცხადებით, გურიის ყოფილი გუბერნატორი თბილისში, სახელმწიფო უწყებაში გააგრძელებს საქმიანობას.

„მერაბ ჭანუყვაძემ ჯერ კიდევ 2 კვირის წინ გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ, თუმცა მაშინ თხოვნა იყო, რომ გარკვეული პერიოდი დარჩენილიყო. გუშინ შედგა შეხვედრა ჭანუყვაძესა და პრემიერმინისტრს შორის. საბოლოოდ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ის რჩება ჩვენს გუნდში", - აღნიშნა სოზარ სუბარმა.

ცნობისთვის, გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ თანამდებობა დატოვა. მან ამის შესახებ საკუთარ ფეისბუკ-გვერდზე დაწერა და მადლობა გუნდსა და ხალხს გადაუხადა.

„ჩემო მეგობრებო, მივიღე გადაწყვეტილება დავტოვო თანამდებობა! ამ პერიოდის განმავლობაში მაქსიმალურად ვცდილობდი წარმომეჩინა ჩემთვის განსაკუთრებული მხარე!! მინდა მადლობა გადავუხადო მოსახლეობას და ჩემს გუნდს, თქვენი მხარდაჭერა შეუფასებელია ჩემთვის. ვტოვებ თანამდებობას მაგრამ ვრჩები ჩემი ხალხის და ჩემი ქვეყნის სამსახურში!!", - დაწერა ჭანუყვაძემ.

ჯერჯერობით უცნობია თუ რა თანამდებობას დაიკავებს იგი მთავრობის ადმინისტრაციაში.

# ნატალია ხომერიკმა ოზურგეთის მერიას სასამართლო დავა მოუგო

**ალიონი.** გასულ ხუთშაბათ ს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მოსამართლე გიორგი ზვიადაძე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების სამსახურის ყოფილი უფროსის, ნატალია ხომერიკის სარჩელის განხილვა დასრულდა და მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა. სასამართლოს განჩინებით ნატალია ხომერიკი აღდგენილია თანამდებობაზე. მერიამ მასვე უნდა გადაუხადოს განაცდური ხელფასი.

სასამართლომ გააუქმა მერიის კულტურის სამსახურის უფროსის შესარჩევი კონკურსი. ასევე გააუქმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსად მერის 17 მაისის ბრძანება მარინა ჯაფარიძის დანიშვნის შესახებ, ბათილია კონკურსის შედეგები.

მოსამართლე გიორგი ზვიადაძემ ხომერიკის სარჩელი მხოლოდ იმ ნაწილში არ დააკმაყოფილა, სადაც იგი თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენას ითხოვდა – მოსამართლემ განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს, რადგან ელოდებიან მეორე მხარის გადაწყვეტილებას, მეორე ინსტანციაში გასაჩივრებასთან დაკავშირებით.



# გია ხაჭაპურიძემ პარტია „ქართული ოცნება" დატოვა



**ალიონი**. 20 აგვისტოს, ცნობილმა მათემატიკოსმა **გია ხაჭაპურიძემ** პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" რიგები დატოვა. შარშან იგი ამ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის ბიუროს წევრად აირჩიეს.

თუ რა გახდა მიზეზი პარტიის დატოვების, გია ხაჭაპურიძე გაზეთ „ალიონთან" მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

–მერაბ ჭანუყვაძის წასვლამ დააჩქარა ჩემი გადაწყვეტილება „ქართული ოცნების" დატოვების შესახებ. მე მისი გუნდის წევრი ვიყავი და მასში მე ვხედავდი როგორც პოლიტიკურ ფიგურას, ასევე ჩამოყალიბებულ მენეჯერს. მერაბ ჭანუყვაძის პოტენციალის გამოყენება ამ ეტაპზე აუცილებელი იყო გურიისათვის. თუ რა გეგმები ჰქონდა მას რეგიონისათვის, ჩემთვის იყო ნათელი და მისაღები.

მე არასდროს ვყოფილვარ პარტიული კარიერით დაინტერესებული. ჩემი გადაწყვეტილება იყო შინაგანი პროტესტი იმ პოლიტიკის, რაც ბოლო პერიოდში პარტიაში ერთგული კადრების მიმართ მიმდინარეობს. მინდა ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალოს, მაგრამ მე პირადად ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შევცვლი – განაცხადა გაზეთ „ალიონთან" გია ხაჭაპურიძემ.

# ციხისფერდში გზა კეთდება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გურიანთაში, ციხისფერდის თემში რთულ საგზაო მონაკვეთზე 200 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო.

სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობა ჩაერთო.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გია ფასიეშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ.

აღნიშნული სამუშაოები ეტაპობრივად სხვა სოფლებშიც გაგრძელდება.

# წელიწადნახევარში ანასეულს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება



**ალიონი**. წელიწადნახევარში ანასეულს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება. ამის შესახებ 24 აგვისტოს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

შეხვედრაზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს თან ახლდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ქალბატონი მაია ცქიტიშვილი, თავის მოადგილესთან ერთად, ასევე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების" ხელმძღვანელები.

– ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაპირებულ, მოკლე დროში შეძლო თქვენი სურვილების, მოსაზრებების კონსოლიდაცია და დღეს არის სწორედ ის დღე, როცა ჩვენ პრაქტიკულად ვაჭერთ ხელს სტარტის ღილაკს ანასეულის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, – უთხრა მაჟორიტარმა დეპუტატმა შეკრებილ საზოგადოებას, რომლის უმრავლესობას ანასეულელები წარმოადგენდნენ.

ქალბატონი მაია ცქიტიშვილის თქმით, გურიაში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, მათ კიდევ ერთი დაემატება, ანასეულის წყალმომარაგების სახით:

– დღეს გურიაში რეგიონისათვის მნიშვნელოვანი მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, ანასეულის წყალმომარაგების სახით ამ მშენებლობებს ანასეულის წყალმომარაგებაც შეუერთდა, რომელიც მთელ რიგ პრობლემებს გადაწყვეტს ქალაქ ოზურთის ამ დასახლებაში. მიხარია, რომ ეს ჩემი მინისტრობის საწყის პერიოდს დაემთხვა. აქედა წელიწადნახევარში ანასეულელები მიიღებენ ბუნებრივად გაფილტრულ სასმელ წყალს, რომელიც ხარისხის ყველა პარამეტრს დააკმაყოფილებს, – აღნიშნა მინისტრმა.

პროექტის საპროექტო ღირებულება 150 ათასი ლარია. ანასეულის წყალმომარაგების მშენებლობას რეგიონული განვითარების ფონდი 3 მილიონი ლარით დააფინანსებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

# ოზურგეთელები საარჩევნო კოდექსზე მომუშავე „თბილისის ჯგუფის“ საქმიანობით დაინტერესდნენ

## „ხალხის რჩეული“ უნდა ნიშნავდეს, რომ ის ხალხის მიერ დაქირავებული მსახურია და არა პირიქით



*რომ ზემოდან მოდის რაღაც ძალები, ქვემოდან არანაირი კონტროლის მექანიზმი ამ სისტემას არ გააჩნია. თავისთავად ცხადია, რომ დღეს სახელმწიფო სექტორი ისეთი შეკრული ვერ არის, როგორიც სტალინის დროს იყო, მაგრამ მაინც ავტოკრატიული დარჩა და იგივე მექანიზმები გააჩნია საზოგადოების დასამორჩილებლად. არ შეცვლილა სისტემა და ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ხედავთ, რაც მივიღეთ შედეგად: 20 თუ 22 წლის წინათ ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა, ახლა 3 მილიონ 700 ათასია, მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ არის გასული, ერთ მილიონამდე ადამიანი კი სოციალურად დაუცველის სტატუსს ატარებს, ანუ ოფიციალური მათხოვარი გამოდის. დაუმატეთ ამას სხვა გარემოებები – საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვა, უმუშევრობა, ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობის 100 ათასამდე გაზრდა, კაზინოების აზარტულ თამაშებში 400 ათასი ადამიანის ჩაფლულობა, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის მოშლა.*

*მოკლედ, რაც უფრო მორჩილი იქნება საზოგადოება, უფრო აწყობს სისტემას. აქედან გამომდინარე, არის ერთი გამოსავალი, საზოგადოებამ უნდა შექმნას რაღაც კონტროლის მექანიზმი, რომლის მეშვეობით აიძულებს მის მიერ არჩეულს, შეასრულებინოს წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებები.*

*ახალს არაფერს ვიგონებთ, ჩვენი, „თბილისის ჯგუფის“ მუშაობის ძირითადი თემაა ამ სისტემას როგორმე დავაკანონებინოთ დეპუტატის უკან გამოწვევის მექანიზმი, რომლის მეშვეობით ჩვენ მიერ არჩეული ადამიანი სულ გვეყოლება შიშის ქვეშ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. როცა ოთხი წლის განმავლობაში ადამიანს ეუფლება დაუსჯელობის სინდრომი, როცა მან იცის, რომ რაც უნდა გააკეთოს, ხელფასს, დანამატს და შემდეგ პენსიასაც უპრობლემოდ მიიღებს, ის არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს მოქალაქეების მიმართ. ცხადია, ასეთი ადამიანი ვერც დაპირებებს შეასრულებს და ვერც დადებით როლს, იმაზე მავნებლურ კანონებს მიიღებს, როგორიც დღეს გვაქვს.*

*თვეში სადღაც ათი-ოცი კანონი იქნება, სასაცილოცაა, სამარცხვინოც და მართლაც ანტისახელმწიფოებრივი... აღარაფერს ვამბობ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე. აი, უფრო მეტი საშინელება ხდება და იმიტომ. ქვეყანაში მიგრაციის საწინააღმდეგო კანონი არ არის შემუშავებული, ეს მაშინ, როცა უამრავი ლმობიერი კანონები დაამტკიცეს პარლამენტში... შარშან, სექტემბერში კონსტიტუცია დაამტკიცეს, რომელშიც წერია, რომ რეფერენდუმის მეშვეობით ადამიანს არ აქვს კანონის მიღების უფლება, ეს ნიშნავს, რომ ადამიანს საერთოდ დემოკრატიის უმთავრესი იარაღი ჩამოართვეს. 200 ათასი ხელმოწერა რომ შეაგროვო, რეფერენდუმის ჩატარების უფლებას არ გაძლევენ. ტერიტორიებია დაკარგული და რეფერენდუმის ჩატარების უფლება არ გვაქვსო. ამ შემთხვევაში საპირისპირო მომენტი დგება, მაშინ არც ის შეიძლება, რომ არჩევნები ჩავატაროთ, მაგრამ არჩევნებს მაინც ატარებენ. ურთიერთ გამომრიცხავია. იმიტომ ატარებენ არჩევნებს, რომ შენ რეფერენდუმის მეშვეობით არ მიიღო რაღაც სერიოზული, ხალხისთვის სასარგებლო კანონი. 150 არამზადა, პირდაპირ ვიტყვი, პარლამენტში რომ გეყოლება, ამათ აქვთ უფლება რომ მიიღონ მათთვის აუცილებელი კანონები და ხალხს – არა. მაშინ როგორი დემოკრატიაა დღეს საქართველოში?!*

*კარგით, რეფერენდუმს შევეშვათ. ცნობილი ფაქტია, რომ მაგათთან კამათი არ შეიძლება. დეპუტატის გამოწვევის მექანიზმზე ასეთი არგუმენტაცია გააჩნიათ, რომ საქართველოში არ გამოგვადგება. იმასაც ამბობენ, რომ საერთოდ მსოფლიოში მიუღებელი პრაქტიკაა. აი, ამაზე კი შეიძლება საუბარი დავიწყოთ იქედან, რომ ეს ჩვენ არ გამოგვიგონებია, დეპუტატის გამოწვევისა და კონტროლის მექანიზმი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, ძველი საბერძნეთიდან დაიწყო, ძველ საფრანგეთში, კომუნის დროს განვითარდა, მერე 1905 წელს ამერიკის ვირჯინიის შტატში პირველად მიიღეს ეს კანონმდებლობა. ამერიკის 35 შტატში მუშაობს, შვეიცარიაში, იაპონიაში, კანადაში მუშაობს ეს კანონი, ჩინეთი რომ ჩინეთია, იქაც მუშაობს და საქართველოში რატომ არ უნდა მუშაობდეს?..*

*თბილისში უკვე სამი ჯგუფი მუშაობს ამ თემაზე, მეოთხე ჯგუფი იქმნება, სექტემბერში ჩამოყალიბდება, ქუთაისში შეიქმნა, აქამდეც მუშაობდა, ოღონდ ცოტა სხვა მიმართულებით. რუსთავსა და გორში იქმნება, შეიქმნება კახეთის რეგიონშიც, ცაგერშიც...*

*ჩვენ შეგვეძლო თბილისში შეგვემუშავებინა ეს პროგრამა, მაგრამ არ გვინდა დავემსგავსოთ სხვა ორგანიზაციებს, პარტიებს, რომლებიც რაღაცას შეიმუშავებენ და ჭკვიანური სახეებით დადიან ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, დაეთანხმებით თუ არ დაეთანხმებით, მნიშვნელობა არ აქვს. ეს ჩვენ არ გვინდა, ხელისუფლებაში მოსვლაც არ გვინდა. ჩვენი მიზანია ამომრჩეველს მივცეთ ეს მექანიზმები და მერე ვინაც უნდა, ის აირჩიოს მან. ამ მექანიზმის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ თქვენს არჩეულ ადამიანს საქმე გააკეთებინოთ, დანაპირები შეასრულებინოთ.*

*ყველა ადამიანს, ჯგუფს ვაძლევთ საშუალებას დამოუკიდებლად მივიდნენ ამ გადაწყვეტილებამდე, იფიქრონ, რა არის საჭირო, აუცილებელი, რომ ეს მთავარი თემა – დეპუტატის გამოწვევის მექანიზმი უფრო ეფექტურად ამუშავდეს და ამოქმედდეს...*

*ყველა ქალაქში ჯგუფები დამოუკიდებლად იმუშავებენ, მერე ცალკე 10-15-კაციანი იურისტთა ჯგუფი შეიქმნება, რომელიც გააშალაშინებს თქვენს მოსაზრებებს, ჩამოყალიბდება კანონპროექტი, რომელიც დასამტკიცებლად შევა პარლამენტში. როცა პარლამენტში განხილვა დაიწყება, დასჭირდება თქვენს ნაშრომს, ნაფიქრს, დასკვნას დაცვა, სასურველი და აუცილებელია ამ დროს იქ ყოფნა. აი, ეს არის ჩვენი მუშაობის პრინციპი“.*

ოზურგეთელი **დავით მეგრელიშვილის** აზრით, პარლამენტი, რომელიც რეფერენდუმის ჩატარების საშუალებას არ იძლევა, ამ გზით არც დეპუტატის გამოწვევის მექანიზმზე დათანხმდება, მით უფრო, როცა დაინახავს, რომ მას საშიშროება ემუქრება:

**დავით მეგრელიშვილი:** *„დეპუტატებს თუ გამოუხატავთ აზრი, როდესაც ანტიქართულ ანტისახელმწიფოებრივ კანონებს იღებდნენ, ვინმეს გამოუთქვამს პროტესტი? ერთი შემთხვევაც არ ყოფილა ასეთი, უბრალოდ პატარა გაბუტვები იყო. აი, ასეთი პარლამენტი ელოდება საქართველოს მომავალშიც. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ეს პარლამენტი ასეთ კანონს მიიღებს? კარგით, შევიტანეთ პარლამენტში, თქვენ წეღან თქვით, რომ რეფერენდუმის ჩატარების უფლებას არ გვაძლევს ეს ხალხიო და ამ მექანიზმის ამოქმედებაზე დაგვთანხმდება, როდესაც რაღაც საშიშროებას დაინახავს?! როგორც კი ამ საშიშროებას და დაპირისპირებას იგრძნობენ, მაშინვე ადეკვატური ღონისძიებების გატარებაზე გადავლენ. ჩვენ გავიარეთ ეს ხანა, საკუთარ თავზეც ვიწვნიეთ“.*

შეხვედრის მონაწილე **კოტე სარიშვილმა** თქვა, რომ დემოკრატიაზე უფრო დიქტატურის მომხრეა, ოღონდ სამართლიანი დიქტატურისა:

**კოტე სარიშვილი:** *„მე, მაგალითად, დემოკრატიაზე უფრო დიქტატურის მომხრე ვარ. სააკაშვილის დროს ეს დიქტატურა იყო, და ყველა ფიქრობს, რომ ეს არ იყო სამართლიანი დიქტატურა, მაგრამ დავით აღმაშენებლის დიქტატურა – ეს იყო სამართლიანი დიქტატურა, იმიტომ, რომ ყველაფერი იყო სჯულის კანონში ჩამჯდარი და მორგებული“.*

პოლიტიკურად საკმაოდ გამოცდილი **ლევან თავდიშვილის** თქმით, ეს შეხვედრა ერთიანობისთვის წინ გადაგმული ნაბიჯია:

**ლევან თავდიშვილი:** *„26 წელიწადია ვიძახით ძირს კომუნისტები, ესეთები, ისეთები, მაგრამ, სამწუხაროდ უკეთესი არავინ მოსულა, ნამდვილად არ მოსულა, რაღაც-რაღაცეები იყო, მაგრამ საერთო ჯამში რომ ავიღოთ, მათ მართვის ყველა რგოლი უფრო დახვეწილი ჰქონდათ, ინტერესებსაც იცავდნენ ბოლომდე და პოლიტიკურადაც უფრო შემდგარნი იყვნენ, ეს მაქვს მხედველობაში. აქ შეკრებილი საზოგადოებისათვის, თითოეული ჩვენგანისთვის ახლა მთავარია ერთიანობა. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ვფიქრობ, რომ ეს ერთიანობისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია, აუცილებელი და საჭიროა, იმიტომ, რომ არსებობს ასეთი გამონათქვამი, რად გინდათ კანონი, როდესაც ხელისუფლებაში არამზადები სხედან“.*

**ნარი მუჯირის** აზრით კი, ჩვენი ქვეყანა მთლიანად გაყიდულია თავის მიწიანად და ხალხიანად:

**ნარი მუჯირი:** *„მე ვერ ვარ ამ ეტაპზე ოპტიმისტურად განწყობილი ჩემი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით, ასე ვფიქრობ, რომ ჩემი ქვეყანა მთლიანად გაყიდულია თავის მიწიან-ხალხიანად“.*

**ლერი ჯაყელმა** ერთიანობის შედეგის უპრეცედენტო მაგალითი მოიყვანა მსოფლიო ისტორიიდან, როდესაც მეორე მსოფლიო ომში მიწასთან გასწორებულმა გერმანიამ ძალები მოიკრიბა და მის დამმარცხებელი რუსეთი მოკლე დროში უკან მოიტოვა:

**ლერი ჯაყელი:** *„კომუნისტური წყობიდან მოგვდევს ის, რომ თუ დეპუტატი გახდები, ფულიც გექნება და თანამდებობაც. ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს ისეთი დეკლარაცია, რომელზე ხელმომწერის მისამართით, დეპუტატის სტატუსის დარღვევის შემთხვევაში, აუცილებლად ამოქმედდება შესაბამისი კანონი.*

*ერთიანობაზე ვსაუბრობთ აქ. ბატონებო, მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, გერმანია მიწასთან იყო გასწორებული, ნაცარტუტად ქცეული, მაგრამ შეიკრა ერი, შემოიჭირეს ქამარი, ისე კი არა, როგორც ჩვენთან. ხალხი კარტოფილს არ თლიდა, ისე ხარშავდა და მიაღწია მიზანს, რაც სურდა, დაეწია და გაასწრო რუსეთს, ვინც დაამარცხა ამ ომში.*

*ჩვენი დღევანდელი პრობლემა დაქსაქსულობაა, ერთად უნდა დავდგეთ ამ დროს, რათა რამენაირად გავიტანოთ ეს ამბავი და მიიღონ კანონი დეპუტატის გაწვევის შეს-ახებ. ამით გაიზრდება მისი პასუხისმგებლობა ჩემს წინაშე, თქვენს წინაშე. მან უნდა იცოდეს, რომ ფულის საშოვარზე კი არ მიდის მთავრობაში თუ დეპუტატად, არამედ იმისთვის, რომ საერთო სახალხო საქმე აკეთოს. თუ არ გააკეთებს ამას, გამოწვევის მექანიზმები ამუშავდება და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დაეკისრება“.*

ერთიანობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი თავის დროზე ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრმა, ამჟამად ეკლესიაში მოღვაწე **მამა ვახტანგმა.**

უდავოდ დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელი წინადადებები დააყენა **სტუდენტმა,** რომლის გვარი მაშინვე ვერ ჩავინიშნეთ, შეხვედრის ბოლოს კი დარბაზში არ ჩანდა.

შეხვედრამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ შესაძლებელია, ოზურგეთში რამდენიმე ასეთი ჯგუფი შეიქმნას.

***

**საარჩევნო კოდექსზე მომუშავე „თბილისის ჯგუფი“ 2017 წლის აპრილში ჩამოყალიბდა.**

**მასში გაწევრიანებულ თანამოაზრეებს მიაჩნიათ, რომ ამომრჩეველი, მისი ნება და ინტერესები უზენაესი უნდა იყოს სახელმწიფოსათვის, რადგან ამომრჩეველია ძალაუფლების წყარო, ამომრჩეველია სახელმწიფო და არა მის მიერ არჩეული ხელისუფლება.**

**„თბილისის ჯგუფის“ მიზანია, საზოგადოების მონაწილეობით ისეთი საარჩევნო კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც მკვეთრად, დეტალურად და სწორედ ჭეშმარიტი დემოკრატიის (ხალხის მმართველობა) პრინციპების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ამომრჩევლის და მის მიერ არჩეულის ურთიერთდამოკიდებულების წესებს ამომრჩევლის სასარგებლოდ.**

**საარჩევნო კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ის მექანიზმები, რომელიც ამომრჩევლის ნების უზენაესობას გაუსვამს ხაზს და დაიცავს ამომრჩევლის ინტერესებს. მისცემს მას მის მიერ არჩეულზე ზემოქმედების და კონტროლის საშუალებას. უფრო მეტიც, მცდარი არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, ამომრჩეველს მისცემს შეცდომის გამოსწორების საშუალებას.**

**„თბილისის ჯგუფს“ არ სურს ხელისუფლებაში მოსვლა. „თბილისის ჯგუფს“ სურს, მისცეს ამომრჩეველს ხელისუფლებაზე ზემოქმედების მექანიზმები.**

**სრულფასოვანი რეფერენდუმი, სრულფასოვანი საარჩევნო კანონი, არჩეულის უკან გაწვევის წესით.**

**„თბილისის ჯგუფი“ მოუწოდებს საზოგადოებას, ყველას, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, რელიგიური აღმსარებლობისა თუ ეთნიკური კუთვნილებისა, იყოს აქტიური და მიიღოს მონაწილეობა** ახალი, სახალხო საარჩევნო კოდექსის შემუშავებაში.

დეპუტატის უკან გამოწვევის მექანიზმი და რეფერენდუმი ამომრჩეველთა საერთო ინტერესია.

„ხალხის რჩეული“ უნდა ნიშნავდეს, რომ ის ხალხის მიერ დაქირავებული მსახურია და არა პირიქით. სისტემა უნდა შეიცვალოს.

# ფერისცვალების დღესასწაული ბახმაროში



**ალიონი.** კურორტ ბახმაროში, ფერისცვალების სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინეს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იოსებმა; ზემო სვანეთის მიტროპოლიტმა, მეუფე ილარიონმა; ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა, მეუფე ეფრემმა, ჩრდილო ამერიკის ეპისკოპოსმა, მეუფე საბამ.

შემდეგ დაიწყო სახალხო დღესასწაული.

ბახმაროს დღესასწაულის კულმინაცია ცხენოსანთა შეჯიბრია, რომლის მთავარი სპონსორი „წყალი მარგებელი“ იყო.

1-კილომეტრიან დოღში „ნაბელლავის თასზე“ ვაკიჯვრელმა გივი გიორგაძემ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) გაიმარჯვა; სოფლის ცხენებს შორის მარულაში (3 900 მ.) ოზურგეთელმა (ბახვი) მერაბ შავაძემ; შერეული სისხლის ცხენების შეჯიბრში ახმეტელმა ტოჩი სიმონიამ; 2000მ. დოღში ოზურგეთელმა თორნიკე თოდრიამ (საცხენოსნო სკოლა)..

ზეიმს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, მთავრობის, პარლამენტის წევრები, გურიის მხარისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძვანელები ესწრებოდნენ.

საღამოს დაიწყო მუსიკალური ფესტივალი **SunSet Fest.**

# რაგბის განვითარების სტრატეგიულ პროექტზე იმსჯელეს



**ალიონი.** გასულ პარასკევს, ოზურგეთში სასტუმრო „სემის“ საკონფერენციო დარბაზში ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ ოზურგეთის სარაგბო კლუბის „არწივების“ ხელმძღვანელობასთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც რაგბის სტრატეგიული განვითარების პროექტზე იმსჯელეს.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე, რაგბის განვითარების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გაიოზ მონიავა.

–„ ოზურგეთის სარაგბო კლუბ „არწივებს“ აქვს ხელშესახები წარმატებები, ჩვენი ამბიცია არის, ის რომ 2020 წელს ვითამაშოთ უმაღლეს ლიგაში. ამისთვის საჭიროა, რომ ჩაიდოს კიდევ უფრო მეტი ინვესტიცია კლუბის განვითარებაში. შევთანხმდით, რომ უახლოეს პერიოდში მომზადდება განვითარების პროექტი, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურას და მართვის საკითხებს. ოზურგეთს ექნება თანამედროვე ბაზა და იმის შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო მეტი მოზარდი ჩაერთოს სპორტის ამ სახეობაში.“ - აღნიშნა ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, არჩილ თალაკვაძემ.

# მეცნიერულ რეკომენდაციებს მეტი მხარდაჭერა ესაჭიროება

მსოფლიოში მეჩაიეობის დარგში ჩამოყალიბებული დადებითი ტენდენციების ფონზე სამწუხაროდ საქართველო ერთად-ერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო ბოლო 25 წლის განმავლობაში დაუშვა უპრეცედენტო შეცდომა, რამაც გამოიწვია როგორც ჩაის ნარგაობის, ისე წარმოებული პროდუქციის მკვეთრი შემცირება. მოსახლეობამ ნაჩაიარ ნიადაგებზე სპონტანურად თხილის ბაღების გაშენება დაიწყო და მისმა ფართობმა 30 ათას ჰექტარს მიაღწია. ბოლო სამი წლის განმავლობაში თხილის მოსავალი და ხარისხობრივი მაჩვენებლები კატასტროფულად დაეცა. სადაა გამოსავალი? მოსახლეობა ამ კითხვაზე პასუხს მოელის.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონა ნიადაგურ-კლიმატური და ოროგრაფიული ფაქტორების მხრივ ძალზე ჭრელია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველივე წლებიდან, როდესაც სუბტროპიკულ ზონაში მრავალი ინტროდუცირებული კულტურა მკვიდრდებოდა მეცნიერ-მკვლევარები აქცენტს რომელიმე მონოკულტურაზე არ აკეთებდა. მიუხედავად იმისა რომ საბჭოთა პერიოდში საკუთარი ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნილება მაღალი იყო და პრიორიტეტი სუბტროპიკულ კულტურათა შორის ჩაის ნარგაობას ეკუთვნოდა (67 ათასი ჰა) ქვეყნის ხელისუფლება ასევე დიდ მოთხოვნებს უყენებდა ისეთი კულტურების განვითარებას როგორიც იყო: ციტრუსოვნები, დაფნა, ტუნგო, სუბტროპიკული ხურმა, ფეიჰოა, ბამბუკი და მრავალი სხვა. ამ პერიოდში სუბტროპიკულ მეურნეობას მთლიანობაში განიხილავდნენ როგორც „ჩაი და მისი თანამგზავრი კულტურების“-სახით. სუბტროპიკულ კულტურათა ასეთმა სიმბიოზურმა განვითარებამ და სამრეწველო წარმოებამ ბევრი სიკეთე მოუტანა ამ რეგიონის მოსახლეობას.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე მთლიანად დაინგრა ჰარმონიულად შეთანაწყობილი სუბტროპიკულ კულტურათა მეურნეობრიობა. ამ ვანდალიზმს ხელს უწყობდა ხელისუფლების ზედა ეშელონებში მოკალათებული „ვაი-პატრიოტები“ რომლებიც ჩაის მონურ კულტურად აცხადებდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. დღეისათვის საქართველო ერთად-ერთი ქვეყანაა ჩაის მწარმოებელ 50 ქვეყანას შორის სადაც, მიუხედავად მეცნიერ-მკვლევართა ყოველდღიური მცდელობისა, ხელისუფლებისა და მოსახლეობის დაუდევრობით 60 ათასი ჰექტარი ჩაის ნარგაობა ამოიძირკვა და განადგურდა, რამაც სტიქიურად გამოიწვია ამ რეგიონების გაკოტრება-გაღარიბება. ფინანსურ რესურსებს მოკლებულმა გლეხობამ პრივატიზებულ ფართობებზე ამოძირკვეს რა ჩაის ნარგაობა სპონტანურად დაიწყეს ისეთი კულტურების გაშენება რომლებიც თითქოსდა მოვლის მცირედი დანახარჯებით მაღალ მოგებას მიიღებდა. ასეთ კულტურად მიიჩნიეს თხილი რომელთა ფართობმა ბოლო ათწლეულში 30 ათას ჰექტარს მიაღწია. თხილის ბაღები შენდებოდა ნიადაგის ყოველგვარი წინასწარი მომზადების და გაკულტურების გარეშე, ვერ ითვალისწინებდნენ ჯიშურ შემადგენლობას და ვერ ატარებდნენ მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს.

სამწუხაროდ რეალობა სხვა გახდა, გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და მავნებელ-დაავადებათა მასიურად გავრცელების ფონზე (2016; 2017; 2018 წლები) თხილის კულტურამ მოსახლეობას ვერ გაუმართლა. მიუხედავად ხელისუფლებისა და მოსახლეობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა რთული აღმოჩნდა. თუ ასე გაგრძელდა იმედგაცრუებული მოსახლეობა თხილის ბაღების აჩეხვა-ამოძირკვასაც დაიწყებს.

თუ გვინდა სუბტროპიკული მემცენარეობის სტრატეგიული განვითარება ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ წარსულის ისტორიიდან. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: მე 18 საუკუნის დასაწყისში კუნძულ ცეილონზე, რომელიც ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა, ყავის კულტურა ითვლებოდა ნონო-კულტურად, რითაც დასაქმებული იყო მთელი მოსახლეობა. ინგლისელები ყავის ექსპორტით დიდ მოგებას ნახულობდნენ. მაშინ, როდესაც ყავის წარმოება ზენიტში იყო უეცრად გამოჩნდა მტერი მიკროსკოპული სოკო ემილეყა ვასტატრიხ რომელმაც ბოლო მოუღო ყავის 65 ათას ჰექტარ ნარგაობას. როდესაც პლანტატორები გონს მოვიდნენ მათ ჯერ დაიწყეს ქინაქინის ხის გავრცელება, შემდეგ კაკოს მოყვანა, თუმცა მსოფლიოში ბაზრის გაჯერების გამო ამ კულტურებიდან ვერ იხეირეს.

ცეილონი, როგორც მდიდარი კოლონია, შეწყვეტდა არსებობას, რომ არ გამოჩენილიყო მათი მეგობარი - ჩაის კულტურა. აგერ უკვე 150 წელია ცეილონი მსოფლიოში ჩაის მწარმოებელი მესამე ქვეყანაა და მიუხედავად ჩაის მონოკულტურისა დღეს ეს მცენარე ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას და ქვეყნის ძირითადი საექსპორტო საშუალებაა.

ასეთ ისტორიაზე ღირს დაფიქრება, რადგან საქართველოც ისტორიულად ჩაის მწარმოებელ ერთ-ერთ მძლავრ რეგიონად ითვლებოდა მსოფლიოში. ჩვენის აზრით სუბტროპიკულ ზონაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კულტურების სამრეწველო წარმოებას, რომლებიც გაცილებით მდგრადია, როგორც მოსალოდნელი კლიმატური ცვლილებების, ასევე მავნებელ-დაავადებათა მიმართ. ასეთ კულტურად პირველ რიგში მოიაზრება ჩაი და სხვა თანამგზავრი კულტურები. მისასალმებელია სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროგრამა „ქართული ჩაი“ რომელიც არსებული ჩაის ნარგაობის რეაბილიტაციას ითვალისწინებს 70-80%-იანი თანადაფინანსების სახით. ბოლო 3 წლის განმავლობაში პროგრამაში 50-ზე მეტი ბენეფიციარია ჩართული. უკვე რეაბილიტირებულია 1000 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია. სამწუხაროა რომ მცირენაკვეთიანი ოჯახებისათვის ეს პროგრამა მიუწვდომელია.

სულ ახლახან სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა. ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს დაემატა ახალი ქვეკომპონენტი „კენკროვანი კულტურები“ რომელიც ითვალისწინებს ლურჯი მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების ასპროცენტიან ფინანსურ მხარდაჭერას ნერგების, სარწყავი სისტემის მოწყობის და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენისათვის. აღნიშნული პროექტი იმუშავებს მცირემიწიანი კატეგორიის მოსახლეობაზე, რომლებსაც აქვთ მინიმუმ ერთჰექტარიანი მიწის ნაკვეთი. აქვე მკაცრადაა მითითებული, რომ ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არანაკლებ 0,15 ჰადან არაუმეტეს 0,5ჰა-ს ჩათვლით კენკროვანი კულტურების ბაღის გაშენების დაფინანსება.

წინასწარ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს იმ ფერმერების იდენტიფიცირებას, რომლებიც მზად არიან კენკროვანი კულტურების წარმოების ტექნოლოგიები სრულყოფილად შეისწავლონ. ეს ფერმერები გაივლიან მომზადების კურსს, ტესტირებას და მზად იქნებიან პროგრამაში ჩასართავად. ამ საკითხებში ჩვენის აზრით ჩართული უნდა იქნას სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის სპეციალისტები და ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს ლაბორატორია, მითუმეტეს როდესაც დასავლეთ საქართველოს პირობებში ლურჯი მოცვისა და სხვა კენკროვანი კულტურებისათვის ნიადაგის შერჩევა, მასში მჟავიანობისა და საკვები ელემენტების განსაზღვრა ისედაც აღნიშნული ლაბორატორიის პრეროგატივაა. სასურველია აქვე (ანასეულში) მოეწყოს ბენეფიციარების მომზადება-გადამზადების კურსები.

კენკროვანი კულტურების სამრეწველო წარმოების სპეციპიკა მეტად გააზრებულ და მაღალკვალიფიციურ შრომას მოითხოვს. წარმოების პროცესში მცირედი გადაცდომაც კი შესაძლებელია საბედისწერო იყოს გარანტირებული მოსავლის მისაღებად, მითუმეტეს იმ პირობებში როდესაც ეს კულტურები ჩვენთან ახალია და სრულყოფილად შესწავლილიც არაა.

ბაღების გაშენების და ექსპლუატაციის პროცესში მტკიცე კონტროლი უნდა დაწესდეს ისეთ პროცესებზე როგორიცაა: ჯიშური შედგენილობა ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური მდგომარეობის სტაბილურობა, გრუნტში ტენისა და ტემპერატურის რეგულირება, მცენარეთა რეგულარული მორწყვა და გამოკვება, ყვავილობისა და მსხმოიარობისადმი ხელშეწყობა, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, ნაყოფის (კენკრის) ფაქიზი კრეფა-ტრანსპორტირება, პროდუქციის უდანაკარგოდ შენახვა-რეალიზაცია რაც დაკავშირებულია სპეციალურ სამაცივრო შენობების, რეფრეჟეტორების და სხვა ტექნიკურ საშუალებათა მზადყოფნასთან. ასევე გასათვალისწინებელია კრეფის პროცესში საკმაოდ გაზრდილი რაოდენობით მუშახელის მობილიზება და სხვა საკითხები. ასე, რომ კენკროვნების მოვლა-მოყვანას და რეალიზაციას დიდი ძალისხმევა სჭირდება. საზღვარგარეთ, იმ ქვეყნებში სადაც კენკროვნებს ფართო მასშტაბით აწარმოებენ, ყველა ეს საკითხი წინასწარ გათვლილი და მოგვარებულია. ჩვენს პირობებში პირველ ეტაპზე მოსახლეობას დიდი ძალისხმევა დასჭირდება აითვისოს კენკროვნების მოვლა-მოყვანის სრული ტექნოლოგია, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან სრული დაფინანსებისა და დახმარების მხარდაჭერით ქართველი გლეხი, ფერმერი მიაღწევს სერიოზულ წარმატებას. ამიტომ ორივე მხარეს, როგორც სახელმწიფოს, ასევე გლეხობას, ფერმერებს დასჭირდებათ მეტად გააზრებული ყოვლისმომცველი და შედეგებზე ორიენტირებული სახელშეკრულებო დოკუმენტაციების შედგენა, გაფორმება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია, ყველა ეს საკითხი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნას ამ კულტურების მცოდნე მეცნიერ სპეციალისტებთან, ბიზნეს ორგანიზაციებთან.

ჩვენ არა ერთხელ გვისაუბრია სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო შეთანაწყობის პრინციპებზე (აგრარული საქართველო 2015წ) და დღესაც გვინდა დავარწმუნოთ სოფლის მოსახლეობა თვითნებურად, საბაზრო ღირებულების მიხედვით ნუ გადაწყვეტს მისი კარ-მიდამოს განაშენიანების ბედს. მხოლოდ მეცნიერულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, კულტურათა სწორი შეთანაწყობის პრინციპების დაცვით სუბტროპიკულ ზონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები გვაძლევს ფართო ასორტიმენტით სამრეწველო კულტურების წარმოების შესაძლებლობებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დავძლევთ, ან შევარბილებთ არასასურველი კლიმატური პირობების და მავნებელ-დაავადებათა მასიური გავრცელების საშიშროებისაგან თავის დაზღვევა და გარანტირებული მოსავლის მიღებას.

სასურველი იქნებოდა ხელისუფლებას პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში კენკროვნების პარალელურად შემოეთავაზებინა ჩაის სანერგეებისა და ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების ხელშეწყობა-თანადაფინანსების პროგრამა, რაზედაც უკვე მოსახლეობაში ყოველწლიურად იზრდება მონდომება და ინტერესი. დღეისათვის საქართველოში ჩაი, მიუხედავად მისი წარმოების დაბალი მასშტაბებისა, ყველაზე სტაბილური და შემოსავლიანი დარგია. ამასთან ეს კულტურა არ მოითხოვს მოვლისა-მოყვანისა და გადამუშავების რთულ ტექნოლოგიებს.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონას სასოფლო-სამეურნეო კულტურებით მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად აპრობირებული ათვისების სტრატეგიული ხედვა ესაჭიროება, რაშიდაც თავისი კომპეტენტური სიტყვა უნდა თქვას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, დარგობრივმა სამეცნიერო კვლევითმა დაწესებულებებმა და საქართველოს გარემოს დაცვისა დასოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

**ზაურ გაბრიჩიძე,**
ს.მ.მ დოქტორი პროფესორი
**იოსებ ბასილია,**
ს.მ.მ. დოქტორი
**ვლადიმერ ბოკუჩავა,**
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური.

# 60 წელი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მეცნიერული უზრუნველყოფის სამსახურში

### ბიოლოგიის დოქტორი, ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ქალბატონი ანგელინა ნიკოლაშვილი იუბილარია!

ანგელინა ნიკოლაშვილი დაიბადა 28 აგვისტოს ქ. ოზურგეთში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე. დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლის პარალელურად 1957 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ჩაისა და სუბტროპიკულიკულტურების ყოფილ საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მცენარეთა დაცვის განყოფილებაში. სადაც მან ღირსეულად განვლო სამეცნიერო გზა რიგითი ლაბორანტიდან - განყოფილების ხელმძღვანელის პოზიციამდე.

1972 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანგელინა ნიკოლაშვილი წარმატებით იცავს დისერტაციას თემაზე „კეთილშობილი დაფნის მავნე ფარიანები და მათი ენტომოფაგები", რისთვისაც მას დამსახურებულად მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის (ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი) სამეცნიერო ხარისხი. დისერტაციის დაცვის შემდეგ, მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის სიღრმისეულად დაუფლების მიზნით, ქალბატონმა ანგელინამ სპეციალური თეორიული და ექსპერიმენტული სწავლების კურსი გაიარა ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში ენტომოლოგიის კათედრაზე.



სამეცნიერო საქმიანობის დაწყების დღიდან ქალბატონ ანგელინას შესწავლილი აქვს სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, დაფნა, ციტრუსოვნები), აქტინიდია, სტევია, დეკორაციული მცენარეების, კაკლოვანების (კაკალი, თხილი), მავნებლების ბიოეკოლოგია. ამ ძვირფას კულტურებზე მის მიერ აღნიშნულია 500-ზე მეტი სახეობის მავნებელი, რომელთა ბიოლოგიური თავისებურებანი და მავნეობის ხასიათი ავტორს ასახული აქვს 120-ზე მეტ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში. ქალბატონ ანგელინას მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივი მასშტაბის სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში.

ამაგდარი მეცნიერი მისთვის ჩვეული ენერგიით და ხალისით განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო და პრაქტიკულ ხასიათის სამუშაოებს ფაროსანას ბიოლოგიის და ეკოლოგიის შესწავლის მიმართულებით. მიღებული კვლევის შედეგებით დიდ დახმარებას უწევს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს. დიდია ქალბატონ ანგელინას ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ქალბატონ ანგელინა ნიკოლაშვილის დიდი სიყვარული მის მიერ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში არჩეული სპეციალობის (ენტომოლოგია) მიმართ. მას გამორჩეულად ახასიათებს მეცნიერული ალღო და წარმოქმნილი პრობლემის ზუსტი დიაგნოზი, რითაც მნიშვნელოვანი პრაქტიკული წვლილი შეაქვს სუბტროპიკულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების გამოვლინებაში, მათი ბიოლოგიის შესწავლასა და ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების განხორციელებაში.

იუბილარს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, ენერგიულ მეცნიერულ მოღვაწეობას და კიდევ მეტ ახალ წარმატებას.

**ანასეულელი მეგობრები და კოლეგები**

---

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# გურიის დრუჟინა და მისი მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში



იასე გურიელი

კავკასიაში სახალხო მილიციის სახით ადგილობრივ თავადაზნაურობას გამოჰყავდა ფეოდალური ლაშქრის მსგავსი შენაერთები, რომლებიც რიცხოვნების მიხედვით იყოფოდნენ: ასეულებად, რაზმებად და დრუჟინებად, სახეობების მიხედვით: ქვეითებად და ცხენოსნებად. არსებობდა, როგორც დროებითი, ისე მუდმივი სახალხო მილიციელები.წესდების მიხედვით, სახალხო მილიციაში დაიშვებოდნენ 18 დან 40 წლამდე ასაკის მეომრები, რომელთაც ომის სიძნელეების ატანა შეეძლოთ.ქვეითი მილიციონერები, ისე, როგორც ადგილობრივი ლაშქარი, უნდა გამოცხადებულიყვნენ თავიანთი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და იარაღით, ხოლო ცხენოსნები კარგი ცხენებით და სრული აღჭურვილობით.მეთაურებად ადგილობრივი თავადები გამოდიოდნენ. ასეთი ლაშქარი სახალხო მილიციას წარმოადგენდა, მაგრამ ომის გამოცხადების პერიოდში ხდებოდა მობილიზაცია და მშვიდობიან დროსთან შედარებით ხდებოდა მისი შევსება ახალი მოხალისეებით.

თურქეთთან ახალი ომის მოლოდინში მეფისნაცვალმა და მთავარსარდალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ბრძანება გასცა ქართული დრუჟინის გაზრდის შესახებ.მსურველთა დიდი რაოდენობის გამო შტატი 1200 კაცით გაიზარდა, რის საფუძველზე დროებით ქართული დრუჟინა გაიყო პირველ და მეორე დრუჟინებად. 1877წლის მარტში ჩაცმული და შეიარაღებული პირველი დრუჟინა ჩაირიცხა რიონისპირა ჯარების შემადგენლობაში, სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ოკლობჟიო,რომლის განკარგულებაში იყო 51600 კაცი და 20 ქვემეხი.ამ რაზმიდან უშუალოდ საბრძოლველად გამოეყო ე.წ. „ოზურგეთის რაზმი" 25 ათასი მებრძოლით და ორი ბატარეით შემდეგ„ ქობულეთიას რაზმად" წოდებული. ამას თვით ოკლობჟიო მეთაურობდა. შტაბის უფროს იყო პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი, რომელმაც მიიღო ბრძანება ოზურგეთის მაზრის ადგილობრივ მცხოვრებლებისგან შეეკრიბა 1000 -მდე მოხალისე მილიციონერი არა უმეტეს 40 წლისა. ყაზბეგი ბრძანების მიღებისთანავე შეუდგა ახალგაზრდების გაწვევას . 1876 წლის მარტში, პირველი გაწვევის დროს, ქალაქ ოზურგეთში 3000 მეტი მსურველი გამოცხადდა, მაგრამ მხოლოდ 1000 კაცი იყო საჭირო. პოლკოვნიკი ყაზბეგი შეუდგა მათგან საუკეთესოს შერჩევას. მოხალისეთა შორის იყვნენ 13-14 წლის ყმაწვილები,რომლრბიც ცრემლებით ემუდარებოდნენ სამსახურში მიღებაზე,მაგრამ ყაზბეგი უარით ისტუმრებდა,ოღონდ იმ პირობით,რომ ერთი წლის შემდეგ აუცილებლად მიგიღებთო.

„რათ გვინდა ერთი წლის შემდეგ, როცა ომი უკვე დამთავრებული იქნებაო," -ეუბნებოდნენ, თურმე ცრემლმორეული ყმაწვილები. მაშინ შეწუხებულ ყაზბეგს მათთვის პატიოსანი სიტყვა მიუცია,რომ არა უგვიანეს ორი თვისა კიდევ რამდენიმე ახალი დრუჟინა შეიქმნება და მაშინ მიგიღებთო. მართლაც, რამდენიმე თვეში,ომის დაწყების შემდეგ ოზურგეთის მაზრიდან კიდევ 3 დრუჟინა(ასეული) შეიქმნა ,რომელშიც 13 წლის ბიჭებიც კი მიიღეს, ასე,რომ მარტო ოზურგეთის მაზრამ 4000 ახალგაზრდა გამოიყვანა სამშობლოს უძველესი კუთხის გამოსახსნელად.ამის შესხებ გაზეთი „ დროება" (44, 22 აპრილი, 1877 წელი) იტყობინებოდა:... „გურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს იჩენენ ბრძოლაში მონაწილეობის. ამას წინათ რამდენიმე 12-13 წლის ყმაწვილები მივიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ, საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვნეთო. თოფი მოგვეცით და ჩაგვაყენეთ ჯარშიო, ხმელი მჭადი თუ გვექნა საჭმელად, მეტი არა გვინდა რაო, მაგრამ ატრიადის უფროსს არ მიუღია .დამარწმუნეს, რომ ამ უარის თქმის შემდეგ, ეს ყმაწვილი ბიჭები ტირილით დაბრუნდნენ თავ-თავიანთ შინაო".

1877 წლის 15 დეკემბერს შეწყდა მოხალისეთა შერჩევა და მიღებული 1000 კაციდან დაიყო 4 ნაწილად (პირობითად ასეულებად).თითოეულ ასეულს დაემატა კადრის ოფიცრები და ძველი მილიციონერები ქუთაისის ცხენოსანთა პოლკიდან და კავკასიის არმიის სხვადასხვა დანაყოფებისაგან. გენერალ ოკლობჟიოს წარდგინებით მეფის ნაცვალმა და კავკასიის მთავარსარდალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ დაამტკიცა გურული დრუჟინის მეთაურთა და ოფიცერთა შემადგენლობა დრუჟინის მეთაური-როსმისტრი თავადი იასე გურიელი. მეთაურის თანაშემწე ქუთაისის ცხენოსანთა პოლკის მეთაური მაიორი დავით ჩხეიძე.

დრუჟინის ხაზინადარი და ადიუტანტი ალექსანდრეპოლის 161 ქვეითი პოლკის პორუჩიკი გიორგი ბერიძე.

დრუჟინის ასმეთაურებად: პირველი ასეულის ახალციხის ქვეითი პოლკის პორუჩიკი დარისპან მიქელაძე; უმცროსი ოფიცრები მილიციის პოდპორუჩიკი გიორგი ღლონტი და მილიციის პორუჩიკი თავადი დავით გურიელი.

მეორე ასეულის პორუჩიკი — თავადი ივანე აბაშიძე, ოფიცრებად: პოდპორუჩიკი თავადი თომა ერისთავი და მილიციის პრაპორჩიკი სიო ბერიძე.

მესამე ასეულის პრაპორჩიკი თავადი გიორგი გუგუნავა,ოფიცრებად: ვატა მიქელაძე და ანტონ ქარცივაძე.

მეოთხე ასეულის -ლენქორანის ქვეითი პოლკის პრაპორჩიკი თავადი ივანე მაყაშვილი, ოფიცერი მილიციის პორუჩიკი ირაკლი კაპანაძე, დრუჟინის მღვდლად რომანოზ დარჩია.დრუჟინის ჩაცმულობა იყო ეროვნული გურული ტანსაცმელი".(გ. შარაძე„ბათუმისდა აჭარის შემოერთება დედასამშობლოსთან", „ლიტერატული საქართველო," 51. 11988 წ.)

დიდი მთავრის ბრძანებით, 18 დეკემბერს დაიწყო მომზადება ახალგაზრდა გურული მილიციონერებისა .27 დეკემბერს გენერალ-მაიორმა ციტოვიჩმა მოაწყო გურული მილიციონერების დათვალიერება და კმაყოფილი დარჩა ასე სწრაფი მომზადებით. განსაკუთრებით სროლაში გაოცებულ გენერალს პრაპორჩიკმა მაყაშვილმა უპასუხა : ესენი ბავშვობიდან ეჩვევიან იარაღის ტარებას და სროლასო. ხოლო მეორე დათვალიერებაზე 1877 წლის 3 იანვარს დიდი მთავრის ადიუდანტს პოლკოვნიკ ბარნოვს აღტაცება ვერ დაუფარავს და განუცხადებია: — არ ვიცი როგორ მოვახსენო ეს მეფის ნაცვალს, რადგან არ დამიჯერებს,როგორ შეიძლებოდა მისი კავკასიაში ასეთი მომზადებაო. ამაში თვით მეფის ნაცვალი დარწმუნდა, როცა 5 აპრილს, ოზურგეთში ჩამოსულმა საკუთარი თვალით ნახა გურულების საბრძოლო მომზადება და კმაყოფილებით წარმოთქვა: „სტაკიმი მოლოდსაამი სმელო მოჟნო იდწი ვ ბოი"

ოზურგეთას რაზმის მეთაურად ციტოვიჩის მაგივრად დანიბეგოვი (დანიბეგაშვილი ) დანიშნეს.ომის დაწყებისას გურული დრუჟინა გენერალ დანიბეგოვის მარცხენა კოლონის შემადგენლობაში შევიდა.

1877 წლის 21 იანვარს, ორივე დრუჟინის დაკომპლექტება უკვე დამთავრებული იყო. 1877 წლის მარტში ჩაცმულ -დახურული და შეიარაღებული პირველი დრუჟინა ჩაირიცხა რიონისპირა ჯარების შემადგენლობასი და რკინიგზით თბილისიდან ქუთაისისკენ გამოემგზავრა პოლკოვნიკ თავად ივანე ჭავჭავაძის მეთაურობით.

11 აპრილს პირველი ქართული ქვეითი დრუჟინა ქუთაისიდან ოზურგეთში ჩავიდა, სადაც ქალაქის მოედანზე გამწკრივდნენ და ომისათვის მზადყოფნა უპატაკეს გენარალ- მაიორ დანიბეგოვს (დანიბეგაშვილს).ამის შემდეგ მალე გავრცელდა ხმები ომის გამოცხადების შესახებ, რაც მეორე დღეს -12 აპრილს დადასტურდა.დილის 11 საათზე ავანგარდში ჩართული პირველი ქვეითი დრუჟინა პოლკოვნიკ თავად ჭავჭავაძის მეთაურობით ექადიის გავლით ჩოლოქისაკენ დაიძრა.საყურადღებო ცნობას გვაწვდის სერგი მესხი: „ხუთი ათას კაცამდი არიან მარტო მილიციონრები,ჩვენის მხრივ გაყვანილი ბრძოლის ველზე, ისინი რაღა თქმა უნდა იომებენ, დანარჩენი ხალხი კი სამხედრო კანონის ძალით ბრძოლაში ვერ გაერევა, დაუიარაღებელ ხალხს უფლება არა აქვს ხელი განძრიოს მტრის წინაამდეგ .(ს.მესხი, თხუზულებანი ტ.II თბ.1963წ. გვ.310-311).

ქართული ქვეითი დრუჟინა შეუერთდა წმინდა ნილოლოზის საგუშაგოდან (შეკეთილი ნატანებიდან) წამოსული პოლკოვნიკ თავად აბაშიძის კოლონას და შექმნეს ოზურგეთის რაზმის ერთიანი მარჯვენა კოლონა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი შერმეტიევო.14 აპრილს ისინი უკვე მუხაესტატეში იყვნენ და ოზურგეთის რაზმის გენერალ მაიორ დანიბეგოვის(დანიბეგაშვილის) მარცხენა კოლონასთან ერთად ზეიმობდნენ თურქებზე პირველ გამარჯვებას.

ინტერეს მოკლებული არ იქნება, გავეცნოთ თუ, როგორ ემზადებოდნენ ბრძოლისათვის ოზურგეთში.

1877წელის იანვარმა ოზურგეთში ბრძოლისათვის მზადების ნიშნის ქვეშ ჩაიარა.რაც პირველ რიგში ქ.ოზურგეთსა და მის მიდამოებში ოზურგეთის რაზმის თავმოყრასა და განმტკიცებაში გამოიხატებოდა. ოზურგეთი და მისი მიდამოები უნდა გამხდარიყო ბაზა მომავალი სამხედრო ოპერაციებისათვის. სანჯანყში, ასე ეწოდებოდა მაშინ ტრაპიზონის ვილაიეთის დიდ ადმინსტრაციულ ერთეულს, რომელშიც ბათუმ-ქობულეთის მხარეც შედიოდა.მიმდინარეობდა ქალაქის გარშემო მაღლობებისა და სხვა პუნქტების გამაგრება, რომლებიც განლაგებული იყო თურქეთიდან ოზურგეთისაკენ მიმავალ გზაზე,ხოლო ექადიის მაღლობზე ეწყობოდა სამხედრო ბარაკები.სამხედრო ინჟინრების-შტაბსკაპიტნების კარგურისა და გერასიმოვის ხელმძღვანელობით, გადაულებელი კოკისპირული წვიმების მიუხედავად, საპორტიფიკაციო და საინჟინერო სამუშაოები შეუფერხებლად მიდიოდა წინ. იზრდებოდა კერძო სახლების გადაკეთება ჰოსპიტლებად და საბრძოლო მარაგის თუ სურსათ-სანოვაგის საწყობებად , მდ. ბჟუჟზე, რომელიც ქალაქ ოზურგეთს ჰყოფდა ექადიის მაღლობიდან გაიდო ბურჯებიანი ხიდი.ომის დაწყებამდე ოზურგეთის რაზმის უფროსი იყო გენერალ-მაიორი ციტოვიჩი,აქ მსახურობდნენ რუსეთის არმიის გენერალ მაიორები ლევან და დიმიტრი გურიელები.

ამ პერიოდში ოზურგეთის რაზმი განლაგებული იყო გურია -თურქეთის საზღვარზე, ძირითადად ოზურგეთში.აქ იყო ალექსანდრეპოლის ბატალიონი, პი-

გვ-7

# მადლობა

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო შესანიშნავ პიროვნებას, თავისი საქმის უბადლო სპეციალისტს, გულისხმიერ, უანგარო და მზრუნველ ადამიანს, სამედიცინო ცენტ „მედალფას“ ექიმ-პედიატრს ქ.ნ ლეილა ფიფიას, ჩემი შვილიშვილების ჯანმრთელობაზე გაწეული ზრუნვისათვის.

ქალბატონო ლეილა, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რომ მუდამ იდგეთ იქ, სადაც ესოდენ საჭირო ბრძანდებით. გფარავდეთ უფალი.

**ნანული ლაბაძე,**

სოფ. თხინვალი.

# ოზურგეთის მერიამ ვაშაძეების ოჯახს თუნუქის სახურავი გადასცა



ოზურგეთში, კიტა მეგრელაძის ქუჩაზე სტიქიისგან დაზიანებული სახლის გადახურვა მიმდინარეობს.

უმაღლესი ხარისხის თუნუქის სახურავი და ხეობა ვასაძეების ოჯახს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა.

სამუშაო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ოსიკო თოთიბაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომელი, მიხეილ შალამბერიძე დაესწრნენ.

# „გომისმთობაზე“ ჰეპატიტზე უფასო კვლევები ჩაატარეს

წელს პირველად „გომისმთობაზე“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილებამ **C** და **B** ჰეპატიტზე, შიდსის აქტივობაზე 60-ზე მეტი პაციენტს უფასო კვლევები ჩაუტარა.

ექიმები **ნონა მახარაძე-კვაჭანტირაძე, იზა როყვა** მთელი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ კვლევებს.

# „არწივებმა“ ვანის „აიეტი“ დაამარცხა

24 აგვისტოს ოზურგეთის სარაგბო კლუბ „არწივებსა“ და ვანის „აიეტს“ შორის ამხანაგური მატჩი გაიმართა. შეხვედრა „ზვანი არენაზე“ ჩატარდა.

ოზურგეთის „არწივებმა“ ვანის „აიეტი“ დაძაბულ ბრძოლაში, ანგარიშით 57:19 დაამარცხეს.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ირაკლი სირაძე, სპორტის განვითარების განყოფილების უფროსი - თამარ აროშიძე და სარაგბო კლუბ „არწივების“ დირექტორის მოადგილე, ვახტანგ დოლიძე დაესწრნენ.



სულთათანა

# გელა ქურდიანის გახსენება



რა მალე გავიდა ტკივილიანი 40 დღე, ჩვენო კეთილო მეზობელო, კარგო ადამიანო ძალიან აკლიხარ შენს ოჯახს, შენს მეზობელ-მეგობრებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

**შენი მეზობლები.**

გამსახურდიას ქუჩა III ჩიხი.

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი იუწყება კეთილშობილი პიროვნების, ქალბატონ **ლოლა გოლიაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.


# იყიდება

**ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქ. №4-ში („მაგთის“ ოფისის თავზე) 4-ოთახიანი ბინა. აქვს ავტოფარეხი, სხვა სათავსოები. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 593 22 00 43; 598 777**


# სკანვორდი




## № 31-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ოთარ მელვინეთუხუცესი; წითელ წიგნში შეტანილი მერქნიანი მცენარე - ურთხმელი; ხანი - დრო; ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი - ადარა; სიდიდით მესამე კუნძული - კალიმანტანი; ძველის ანტიპოდი - ახალი; ჩვილი გოჭი - თელი; ალბანური ფული - ლეკი; ფინელი მწერალი - ახო; ძალიან დიდი - დიადი; შინაური ცხოველი - კატა; გვირაბი - როკი; წვერმოშვებული ჯინსებიანი ტიპი - ჰიპი; ევერესტის პირველი დამლაშქრავი - ჰილარი; კუნძული - ჰაიტი; ფრინველების ჟრიამული - რია; კვერი, ჩაქუჩი - თოხმახი; ქალის სახელი - ნია; ჩქარა - მალე; შაშის გამომგონებელი - პალამედე; ვარსკვლავიერი მანძილების საზომი - პარსეკი; საგრილებელი - მარაო; ავე... - მარია; ტემპერატურული სკალა - ფარენჰაიტი; თაქთაქიშვილის ოპერა - მუსუსი; ქართული ვალუტა - ლარი; უზბეკეთის დედაქალაქი - ტაშკენტი; ნევროზის სახეობა - ისტერია; რუსი ჟურნალისტი და მწერალი - ილფი; გაშლილი ხელით გარტყმა - სილა; სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში - ვაშტიალი; დოლბანდი - მარლა; კავშირგაბმულობის ტერმინი - ალო; პირი -ასლი; დიახ -კი; ბრტყელდინგა ნიანგი - კაიმანი; შენ რუსულად - ტი.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# გურიის დრუჟინა და მისი მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში



ოზურგეთის დრუჟინა

რველი ქვეითი პლასტუნის ბატალიონი, გურიის პირველი ქვეითი დრუჟინა და 20- მდე ქვემეხი.დანარჩენი სამხედრო ნაწილები ანდრეანეპოლიდან, ლენქორანიდან, ქუთაისიდან თავმოყრილი იყო წმ.ნიკოლოზის საგუშაგოზე ნატანებთან, ნაგომარსა და ორპირში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ექადიის მაღლობზე გამაგრებას, რადგან მეტად მნიშვნელოვანი და ყველაზე ახლომდებარე სტრატეგიული პუნქტი იყო თურქეთის საზღვართან,კერძოდ მდინარე ჩოლოქთან, იგი ჩოლოქიდან 3-4 ვერსითაა დაშორებული.

ომის დაწყების წინ რიონისპირა მხარე მოინახულა კავკასიის მეფისნაცვალმა და კავკასიის დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, რომელიც ფოთიდან ცხენზე ამხედრებული სანაპირო გზით ჩამოვიდა წმ. ნიკოლოზის საგუშაგოზე. აქედან 5 აპრილს ქ.ოზურგეთს ეწვია .ქ.ოზურგეთში მეფისნაცვალმა დაათვალიერა ექადიის მაღლობზე დაბანაკებული ჯარის ნაწილები,მეორე დღეს თვითონ ქალაქში განლაგებული ჯარები,სულ 5 ბატალიონი 8 ქვემეხი,მათ შორის:ოზურგეთის ადგილობრივი ბატალიონი და პირველი ქვეითი დრუჟინა; ნაგომარში ლენქორანის პოლკი და 19 საარტილერიო ბრიგადის მე-2-ე ბატარეია.

მარტის თვის ბოლოდან ოზურგეთში დაიწყო ჯარების ახალი ნაწილების ჩამოსვლა. რიონისპირა მხარის შტაბ-ბინამ კი ქუთაისიდან ოზურგეთში გადმოინაცვლა.

1877 წლის 11 აპრილს, ოზურგეთში ჩამოვიდა კავკასიის მთავარსადლის გენერალ-ადიუტანტი თავადი დ.სვიატოპოლკ-მირსკი, რომელმაც ჩამოიტანა უკანასკნელი ინსტრუქცია ოზურგეთის რაზმის საომარი მოქმედების დასაწყებად.მოქმედების გეგმა ასეთი იყო:ომის გამოცხადებისთანავე ჯარები სასწრაფოდ გადადიან ჩოლოქის საზღვარზე და იმავე დღეს იკავებენ კინტრიშის ველს და ციხისძირის პოზიციების გვერდის ავლით მიემართებიან ჩაქვისაკენ და მეორე მესამე დღეს იღებენ ბათუმს. 1877წლის 12 აპრილს, კიშინიოვში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალებთან ომის შესახებ.

1877 წლის 12 აპრილს, დილის 6 საათზე, ოზურგეთის ქალაქის მოედანზე გამწკრივებულ კოლონის წინ გამოვიდა მხედართუფროსი ოკლობჟიო, ცხენზე ამხედრდა და რჩეული კონვოების ასეულის თანხლებით დაიძრა წინ..ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა.გავიდნენ მდ.ბჟუჯის ხიდზე , ჩაუარეს ექადიის მაღლობს და გადავიდნენ ჩოლოქის მიმართულებით სუფთა სწორ ველზე, სადაც საბრძოლველად გამზადებული ჯარები იყო გალაგებული, დაიწყო ჯარების დათვალიერება, გენერალმა ოკლობჟიომ პირველად ჩაუარა გენერალ- მაიორ დანიბეგოვის (დანიბეგაშვილის) მარცხენა კოლონას ,რომლის შემადგენლობაში იყო სულ 5 ბატალიონი და ერთი როტა,ორი ბატარეა და კავალერიის ასეული, სახელდობრ ლენქორანის პოლკის მსროლელთა ბატალიონი-პოლკოვნიკი ჰრიგორისა;

2. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის პირველი კავკასიური მსროლელთა ბატალიონი -პოდპოლკოვნიკი თავად ბარიატინსკის; 3. მე-2 კავკასიური მსროლელთა ბატალიონი-პოდპოლკოვნიკი მაკაევისა; 4. პირველი პლასტუნის ქვეითი ბატალიონი-პოლკოვნიკ კოზლოვსკისა; 5. გურული ქვეითი დრუჟინა (ოთხი ასეული) კაპიტან თავად იასე გურიელისა .მისი თანაშემწე ქუთაისის პოლკის მაიორი დ.ჩხეიძე; ასეულების მეთაურები იყო: პორუჩიკი დ.მიქელაძე,თავადი ი. აბაშიძე, პრაპორშიკი გ.გუგუნავა და პრაპორშიკი ი.მაყაშვილი,რომელიც შემდგომსი გენერალ-მაიორი გახდა;

6.მე-5 -მე-6 ბატარეიის 41-ე ბრიგადის პოდპოლკოვნიკების ივანოვისა და მუსხელოვის (მუსხელიშვილის) მესანგრეთა როტა და კაზაკთა ასეული. დაიწყო პარადი, რომლის დამთავრების შემდეგ ოკლობჟიომ გასცა ბრძანება ჯარების წინ დაძვრის შესახებ....ბატალიონები და ბატარიები დაიძვნენ, ღვთისმოშიშმა ჯარისკაცებმა ქუდები მოიხადეს და პირჯვარი გადაიწერეს.-რაზმი გადავიდა მდ.ჩოლოქზე და ბრძოლები გაჩაღდა ბათუმის მიმართულებით.

,,ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა მუხაესტატესა და ხუცუბნისათვის .აქ თავი ისახელა დანიბეგაშვილის რაზმმა ,რომელმაც იერიშით აიღო ხუცუბნის ყორღანი, რომელსაც მებრძოლებმა დანიბეგაშვილის ყორღანი შეარქვეს .განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიის ლაშქარი,შტაბსკაპიტან გურიელის მეთაურობით. გურიელის მილიცია ყოველთვის ავანგარდში მოქმედებდა,რადგან ბრძოლის ასპარეზს კარგად იცნობდა და ამიტომ ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო'' (შამშე მეგრელიძე ,,საქართველო აღმოსავლეთის ომებში''.თბ. 19-74 წ. გვ.72).ოზურგეთის რაზმს ამიერიდან ქობულეთის რაზმი ეწოდა,ცუდი ამინდებისა და მტრის ძლიერი წინააღმდეგობის გამო იგი ნელა მიიწევდა წინ. აქვე გურიის მილიციის გარდა იბრძოდა პირველი და მეორე ქართული დრუჟინა დაკომპლექტებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისაგან.

განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა საზღვრის გადალახვის მეორე დღეს,25 აპრილს. ქობულეთის რაზმი ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. ოკლობჟიომ უბრძანა გურიის ლაშქრის მეოთხე ასეულის უფროს კაპიტან მაყაშვილს აეღო სიმაღლე, რომელზედაც მტერი იყო განლაგებული და ზედ დროშა აღემართა. მილიციელებიც დაიძრნენ და სიმაღლე სწრაფად დაიკავეს. ისინი იმდენად გაიტაცა ბრძოლამ, რომ მონაწილეთა ცნობით მათი შეჩერება შეუძლებელი გახდა.მარცხენა ხელში დაჭრილ ურიადნიკ შარაშენიძეს მარჯვენა ხელში ეჭირა თოფი და შეუჩერებლად სპობდა მტერს.ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 16 მამაცი ლიხაურელი,რომლებიც მოხალისეებად ჩაეწერნენ ასეულში საბრძოლო ოპერაციების წინა დღეს (შამშე მეგრელიძე).გამოჩენილი მამაცობისათვის მეოთხე ასეული ,ხიშტებზე ყაბალახით ქობულეთის მთელი რაზმის მწყობრის წინ გაატარეს.რაზმის ყველა მებრძოლი მიესალმებოდა მათ, ხოლო კაპიტან მაყაშვილს გადაეხვია ლაშქრის მეთაური იასე გურიელი და საქართველოს დიდებისათვის მადლობა გადაუხადა.გმირობისათვის ასეულის მეთაურს მაყაშვილს წმინდა ანას მე-4 ხარისხის ორდენი უბოძეს წარწერით-,,მამაცობისათვის''.ხოლო შემდგომ იგი რუმინეთის მეფემ დააჯილდოვა ,,რუმინეთის ვარსკლავის ორდენით''.ასეთი ჯილდო კავკასიის არმიაში ერთადერთი იყო. გურულ მებრძოლთა გმირობაზე საზღვაგარეთის პრესაც კი ალაპარაკდა .'' (შამშე მეგრელიძე).

ქართულმა დრუჟინამ, რომელმაც ადრე კავკასიის ომში წმინდა გიორგის დროშა დაიმსახურა, ამჟამად ვერცხლის საყვირები მიიღო წარწერით:,,1877-1978 წლების რუსეთ-თურქეთის ომში წარჩინებისათვის''.ასეთი ჯილდო მრავალი ომის მონაწილე შენაერთებსაც კი არ ღირსებიათ. უმცროს მეთაურებს ვ. მაჭუტაძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ნ. ნაკაშიძეს, დ.ვაჩნაძეს, ,დ.ვაშალომიძეს, ოფიცრობა უბოძეს.

უნდა აღინიშნოს ციხისძირის შტურმი.გენერალ პოტოს სიტყვებით:,,სამებასა და ციხისძირს შორის ამტყდარი ზარბაზნების ქუხილის ხმა ოზურგეთამდე აღწევდა,შეუპოვრად იბრძოდა გენერალი დანიბეგაშვილის და პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი.ეს შემზარავი ორთა ბრძოლა თითქმის სამ საათს გაგრძელდა .პოლკოვნიკმა ივანე ბორისის-ძე ბუჩკიევმა (ბუჭყიშვილმა) 35 წუთში დაადუმა თურქების ე.წ. ,,ყვითელი ბატერეია''.საბოლოოდ თურქების ბატარეა გაძევებული იქნა ბრძოლის ველიდან''.(ლევან ძნელაძე, მანანა ლომაძე,,რუსეთ-თურქეთის 1877-78წწ.ომი და ბრძოლა ბათუმისათვის'',სრულიად საქართველოს გაზეთი, 2, 2015 წელი).

აქვე უნდა ვთქვათ ციხისძირის შტურმის დროს დაღუპულ მებრძოლთა ნაწილი დასაფლავებულია ხუცუბანში და ოზურგეთში მოიდანახის სასაფლაოზე.გადმოცემით 1898 წელს, ბრძოლების 20 წლისთავზე, ოზურგეთში მოუტანიათ სპეციალურად გათლილი დიდი ზომის ქვები, დაუდვიათ მათ საფლავზე წარწერით: ,,1877/78 რუსეთ-თუქეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად'' ცნობილია მათი სახელები: გენერალ-მაიორი ემელ ლეისტელტი,შტაბს-კაპიტანი ვსევოლოდ პრჟევალსკი, პორუჩიკი მიხეილ პარფენენკო, პრაპორშიკი- ვლადიმერ ანდრეევი, მოხალისე დავიდ ბაბუროვი.

საბოლოოდ ბათუმის საკითხი გადაწყდა ბერლინის კონგრესზე, რომლის თანახმად თურქეთი ვალდებულებას იღებდა ბათუმი რუსეთისათვის გადაეცა.25 აგვისტოს ქობულეთის რაზმი მახინჯაურიდან დაიძრა .ქალაქის კედელთან რუსეთის ჯარს დერვიშ-ფაშა შეხვდა იგი მიესალმა სვიატოპოლსკ-მირსკის. დღის 2 საათზე საზეიმო ვითარებაში მოხდა ბათუმის დაკავება.ხოლო ნავსადგურში გემები შევიდნენ..ამრიგად აჭარა, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა თურქეთის უღლის ქვეშ დედასამშობლოს საქართველოს დაუბრუნდა .1878 წლის 30 აგვისტოს ბათუმი ყოველი მხრიდან განთავისუფლებული იყო თურქი ჯარისაგან. აჭარის განთავისუფლებას სიხარულით შეხვდა ქარველი ინტელიგენცია, რომელთა საერთო განწოყობილება დიდმა ილია ჭავჭავაძემ ასე გამოხატა:,,ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცეული, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა''.ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება დედასამაშობლოსთან დაბრუნებული აჭარისადმი ნათლად გამოიხატა 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილ მიღებაში.

წელს 140 წელი სრულდება რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომისა და ბათუმის განთავისუფლებიდან.ამ ომში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართველმა მებრძოლებმა, მათ შორის მამაცობით თავი გამოჩინა გურიის დრუჟინამ.

**მანანა ლომაძე,**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

# სითბო აჭარელი კაცის კერიდან



გომისმთა ცივილიზებული სამყაროს ჩრდილში მყოფი პირველყოფილი ბუნებრივი სილამაზეა ერთი საოცარი ოაზისისა.

მიდიხარ ნისლებს ზემოთ და ფიქრობ,რომ არამიწიერ ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობ. რამდენჯერაც არ უნდა ნახო ბუნების ეს საოცარი ნაკრძალი,იმდენჯერ გაოცება გიპყრობს...

ტრადიციული დღესასწაული ,,გომისმთობა'' ორი ულამაზესი კუთხის, გურიისა და აჭარის ძმობის სიმბოლოდ დამკვიდრდა კარგა ხანია, რადგან ამ კურორტის დამსვენებელთა აბსოლუტური უმრავლესობა გურულები და აჭარლები არიან.

წლევანდელი ,,გომისმთობაც'' ერთ-ერთი დასამახსოვრებელი დღე იყო. მისტიკურ ნისლის საბურველში გახვეული თითქოსდა ერთდროულად რეალურ და ირეალურ სამყაროში იმყოფები.

სანამ ოფიციალურად დათქმულ დროზე ღონისძიება დაიწყებოდა, ქართული კულტურის დესპანი, მწერალი დავით შემოქმედელი, ჟურნალისტები ნუგზარ ასათიანი და თემურ მარშანიშვილი იქაური ბუნებით რომ კიდევ უფრო დამტკბარიყვნენ, აჭარელთა დასახლებას დაუყვნენ. ერთ-ერთ გამორჩეულ, კოხტად ნაგებ სახლთან შეჩერდნენ იმ მიზნით, რომ გაეგოთ, სად შეიძლებოდა შეეძინათ ამ კუთხის ხალხის ტრადიციული ,,კაიმაღი,'' რომ დაეგემოვნებინათ.

— ჩვენ გვაქვს ბატონო —უპასუხეს ერთ-ერთი მათგანის შეკითხვას და სახლში შეიპატიჟეს.

—სხვაგან არ წახვიდეთ ბატონო, სტუმარი ღვთისაა, აქ მიირთვითო..

მასპინძლებმა სახელგანთქმული ,,ბორანოთ'', ,,კაიმაღით'' და სხვა უგემრიელესი კერძებით დამშვენებული მაგიდა უმოკლეს დროში გაუწყვეს მოულოდნელ სტუმრებს. საოცარი მუყაითი ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებიც თავიანთი პატიოსანი მარჯვენით ერისთვისაც ქმნიან დოვლათს და თავადაც ფეხზე დამდგარი ღონიერი ოჯახი აქვთ. მთის პრობლემებზე ტკივილით ესაუბრნენ სტუმრებს, თუ როგორ იცლება მთა ჯერ სტიქიის, მერე მძიმე სოციალური შეჭირვების გამო, რომ საქართველოს მთავრობას ქართული მთის გადარჩენის გამოკვეთილი სამთავრობო პროგრამა უნდა გააჩნდეს.

წარმოშობით შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანჩხალოდან ყოფილან. შემდეგ მეწყერის გამო აყრილან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში დამკვიდრებულან. ეწევიან მეცხოველეობას, ჰყავთ მინი ფერმა 8 სული ძროხით. მოჰყავთ კარტოფილი, სიმინდი, ლობიო, სხვა კულტურები, ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ სუფრაზე რაც თავს იწონებდა, მხოლოდ მათი ხელით იყო შექმნილი.

—რძისგან რამდენე დასახელების ნაწარმს ვიღებთ; ,,კაიმაღი'',(რძის ნაღები),,,იაღი'' (ერბო), ,,ნადუღი'',,,ყურუთი'' —სიამოვნებით აცნობდნენ სტუმრებს თავიანთ ნაწარმს და საკუთარ თავს დუმბაძეების უკიდეგანო სტუმართმოყვარე ოჯახი. თავკაცი ოჯახის -დათო, მეუღლე მარეხ გეგიძე, შვილები ანა და დათო; ოჯახის დედა, აჭარაში ,,დიდნენეს'' რომ ეძახიან, ქალბატონი ჟუჟუნა ჭაღალიძე, რომლის შემხედვარე უნებურად გახსენდება გალაკტიონის სიტყვები: ,,სავსე ქართული პატიოსნებით.''

დუმბაძეების ოჯახში სტუმრობა ლამაზი, ამაღლებული და დასამახსოვრებელი დღე იყო.

**მზია გოგოძე,**

ჟურნალისტი.

# ზვანის ,,საძმო'' პირველმა გაიმარჯვა

ოზურგეთის სპორტის სასახლეში მინი ფეხბურთში ტურნირის ,,ოზურგეთი 2018 ,,საფინალო შეხვედრა ,,საძმო I'' გამარჯვებით დასრულდა.

სამოყვარულო ასპარეზობაში მონაწილეობას 8 გუნდი იღებდა.

საფინალო შეხვედრაში ერთმანეთს დვაბზუსა და ,,საძმო I '', გუნდები დაუპირისპირდნენ. დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლა,თავიდანვე საძმოელთა უპირატესობით წარიმართა. შედეგიც შესაბამისი 9:1 დაიდო.

ტურნირის ,,ოზურგეთი 20-18,'' პირველ და მეორე ადგილზე გასულ გუნდებს თასები და ფულადი ჯილდოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-



გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, ზურაბ დოლიძემ გადასცა.

აღნიშნული შეჯიბრის ორგანიზატორი, რომელიც ოზურგეთის სპორტის სასახლეში ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება იყო.

# „გომისმთობა 2018“




**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ორგანიზებით 21 აგვისტოს „გომისმთობა 2018“ გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სპორტული აქტივობა. გაიმართა ჭიდაობა და გამოვლინდა სხვადასხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებული პროფესიონალი მოჭიდავეები, რომლებიც ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ. ასევე გაიმართა ბაგირის გადაძალვა, მკლავჭიდი, ნარდი. გამარჯვებულები დასაჩუქრდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

მოეწყო ეთნოკუთხე, ბარი და კვების ობიექტები. გაიმართა ფოტო გამოფენა.

მთელი დღის განმავლობაში ბავშვების გართობაზე ანიმატორები ზრუნავდნენ.

გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურია“ ცოცხალ ბენდთან ერთად. ასევე მონაწილეობდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ვახტანგური“, კვარტეტი “ჰარმონია“, სოლო მომღერალი - რეზო ხომერიკი.

„გომისმთობას“ ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორები დაესწრნენ. აქ იმყოფებოდა ლიეტუვას რესპუბლიკის, ალიტუსის მუნიციპალიტეტის მერი, **ალგირდას ვრუბლიაუსკასი**, რომელიც დელეგაციის წევრებთან ერთად ოზურგეთს სამუშაო ვიზიტით სტუმრობს.

კურორტზე მყოფი ადგილობრივი დამსვენებლების, ცნობიერების ამაღლების მიზნით, გენდერისა და გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ფლაერები დარიგდა.



# თორნიკე თოდრია ბახმაროს თასის მფლობელი გახდა!



ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების, საცხენოსნო კლუბის ცხენოსანმა, **თორნიკე თოდრიამ** ბახმაროში ტრადიციულ დოღზე, რომელიც ფერისცვალების დღესასწაულზე იმართება, „ ბახმაროს თასი -2018“ მოიგო.

თოდრიამ, ასპარეზობისთვის გამოყოფილი, თითქმის 4-კილომეტრიანი მონაკვეთი უმოკლეს დროში დაფარა, შეჯიბრში მონაწილე მხედრები უკან ჩამოიტოვა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

22 წლის თორნიკე თოდრია ოჯახის ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს და საცხენოსნო სპორტის სახეობას ბავშვობიდან მისდევს. ახალგაზრდა ჟოკეის წარმატებაში ლომის წილი, სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებსთან ერთად, რომელსაც საცხენოსნო კლუბი რამდენიმე თვეა შემოუერთდა, მის ცხენს, 3 წლის „მანგოს,“ მიუძღვის, რომელიც იმ დღეს იუბილარი იყო.

„ბახმაროს თასი–2018“ მფლობელი და წლევანდელი მარულას გამარჯვებული, თორნიკე თოდრია ღონისძიების ორგანიზატორებმა და სპონსორებმა, („წყალი მარგებელი,“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია) მედლით, თასით, სოლიდური ფულადი პრიზითა და სვოჩის საათით დააჯილდოვეს.

ახალგაზრდა ჟოკეის, მიღწეული წარმატებისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება ფულად ჯილდოს გადასცემს.

# „გომისმთობა 2018“ - სპორტული აქტივობებით იყო დატვირთული



ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, ბაგირის გადაწევა და ნარდი - გომისმთობის წლევანდელი დღესასწაული სპორტული შეჯიბრებებით გამოირჩეოდა.

სპორტული ასპარეზობები მთაში დილიდან დაიწყო. თავდაპირველად ერთმანეთს მკლავჭიდელები გაეჯიბრნენ. მძიმე (აბსოლუტურ) წონით კატეგორიაში მოასპარეზე სპორტსმენებიდან ადგილები ასე გადანაწილდა:

I ადგილი - **ლუკა მგელაძე;**
II ადგილი - **დიმიტრი დოლიძე;**
III ადგილი - **გიორგი შუკაკიძე.**

გომის მთაში სახელდახელოდ მომზადებულ საჭიდაო მოედანზე ერთმანეთს ოცამდე ფალავანი გაეჯიბრა. მოჭიდავეებს გულშემატკივრებთან ერთად ქართული „საჭიდაო,“ ამხნევებდა და სტიმულს აძლევდა.

დაძაბული და საინტერესო გამოგდა ფინალი, რომელშიც ერთმანეთს **თორნიკე ონიანი** და **როლანდ ქარჩავა** დაუპირისპირდნენ. დაძაბულ ბრძოლაში **თორნიკე ონიანმა** გაიმარჯვა.

პირველ-მეორე ადგილზე გასულ მკლავჭიდელებსა და მოჭიდავეებს ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებისგან ფულადი ჯილდოები ერგოთ, რომელიც სპორტსმენებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა **ირაკლი სირაძემ, ოსიკო თოთიბაძემ,** აღნიშნული გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, **რევაზ ჭელიძემ** გადასცეს

სანახაობრივად აზარტული გამოდგა ბაგირის გადაწევის შეჯიბრი. ფინალში ყველაზე ძლიერი გუნდები - მკლავჭიდელები და შემოქმედელები დაუპირისპირდნენ. ამჯერად ფორტუნა, დღესასწაულიდან გამომდინარე **შემოქმედელების** მხარეზე იყო და პირველობაც მათ მოიპოვეს.

აზარტულობა არც ნარდის თამაშს აკლდა. ნარდში პირველობისთვის მამაკაცებთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ. ასპარეზობას ორგანიზება ჭადრაკის ფედერაციამ გაუწია.. I ადგილი ქალებში – **მარეხ მჟავანაძეს** ერგო., ხოლო I ადგილი მამაკაცებში – **ლუკა კეჭაყმაძეს.**

ოზურგეთის მუნციციპალიტეტის მერიისგან სპეციალური სიგელი ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებას, მერიასთან აქტიური თანამშრომლობისა და კურორტ გომისმთის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის გადაეცა.

# „ქართული ჭიდაობა“ ბახმაროში

**ალიონი.** ფერისცვალებას, კურორტ ბახმაროში . ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრში ტურნირის ფავორიტი, ოზურგეთელი გიორგი დარეჯანაშვილი ტრამვირებული იყო და მან ნახევარფინალში ტრამვის გამო დატოვა ბრძოლა.

ტურნირი სამტრედიელმა გიორგი კაცაძემ მოიგო. მას ტურნირის ტრადიციული ჯილდო -ცხვარი გადაეცა.

—ეს ტურნირი 2005 წელს ჩემი ინიციატივით დაარსდა. ყოველწლიურად ათობით სპორტსმენი მონაწილეობს მასში. ძალიან ბევრი მონაწილე ჰყავდა შეჯიბრს მკლავჭიდშიც, მაგრამ წელს იგი არ გამართულა —გვითხრა ცნობილმა მოჭიდავემ,



# საფეხბურთო ტურნირი მთისპირში



**ალიონი.** სოფელ მთისპირში გაიმართა საფეხბურთო ტურნირი უბნებს შორის, რომლის ორგანიზატორები ემზარ მეგრელაძე და მაია ჩავლეიშვილი იყვნენ.

ფინალში მეოთხე და პირველი უბნის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა მეოთხე უბნის გუნდმა და მას ბიზნესმენ თენგიზ შარაშიძის მიერ დაწესებული გარდამავალი თასი გადაეცა. მეორე ფინალისტს კი-სასოფლო კლუბის პრიზი; ტურნირზე მე-3 ვანისქედის გუნდი იყო.

ოზურგეთის თეატრის სახელით 4 ფეხბურთელი დუჩო, გიორგი ვაშალომიძეები ,დიმიტრი წიტაიშვილი, გიორგი სარიშვილი დაჯილდოვდნენ...

ტურნირზე ყველაზე აზარტულ და მებრძოლ ფეხბურთელებს გურამ წყავზარაძეს და ოთო ვაშალომიძეს გადაეცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის დაწესებული პრიზები.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე ღრუბელი +17+27 | მზე ღრუბელი +18+28 | მზე ღრუბელი +19+29 | მზე ღრუბელი +18+28 | წვიმა +15+20 | ელ-ჭექი +14+19 | მცირე წვიმა +14+20 |
| 27 აგვისტო ორშაბათი | 28 აგვისტო სამშაბათი | 29 აგვისტო ოთხშაბათი | 30 აგვისტო ხუთშაბათი | 31 აგვისტო პარასკევი | 1 სექტემბერი შაბათი | 2 სექტემბერი კვირა |